სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 377

(ოქმი № 352)

თბილისი 2017 წლის 29 მაისი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საპრემიო ფონდის
დამტკიცების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30(1) მუხლის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 23.05.2017წ. №2085/03 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

დამტკიცდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საპრემიო ფონდი და მისი ოდენობა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ბიუჯეტის მიხედვით თითოეული ბლოკისთვის განისაზღვროს კონკრეტული ბლოკისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების მთლიანი თანხის არაუმეტეს 2%-ით.

დანართი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 23.05.2017წ. №2085/03 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი ირინა ფუტკარაძე

სულხან სალაძე გიორგი ნიჟარაძე

ირაკლი პაპავა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს

თავმჯდომარეს ბატონ გრიგოლ გოგელიას

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური

დირექტორის ვასილ მაღლაფერიძის

სამსახურებრივი ბარათი

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში, თითოეული ბლოკისთვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების მთლიანი თანხის არაუმეტეს 2%-ის ოდენობით საპრემიო ფონდის განსაზღვრაზე. საპრემიო ფონდის შექმნა განხორციელდება სამეურვეო საბჭოს 27.12.2017წ. #356 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ბიუჯეტის კორექტირების გარეშე, ბიუჯეტით დამტკიცებული თითოეული ბლოკის რესურსის ფარგლებში. აქვე მოგახსენებთ, რომ პრემიების გაცემა არ იქნება გათვალისწინებული მაღალი მენეჯმენტის წევრებზე, გენერალურ დირექტორზე და ბლოკის დირექტორებზე. საპრემიო ფონდის შექმნის მიზანია წახალისების მექანიზმის შექმნა, რომელიც ძირითადად გამოყენებული იქნება ჟურნალისტების და ტექნიკური პერსონალის მოტივაციის ამაღლებისთვის.

სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, წარმოვადგენთ პრემირების წესს, რომელშიც განსაზღვრული იქნება პრემიის გაცემის წესი და ა.შ.

პატივისცემით,

ვასილ მაღლაფერიძე

გენერალური დირექტორი

საჯარო საბუთების ელექტრონული ბანკი
"საზოგადოებრივი მაუწყებელი"
23 05 2017
№ 2085/03